განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი N1*

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლა

**შეფასების თარიღები: 23 და 24 მარტი, 2023**

**დასკვნის წარდგენის თარიღი: 27 აპრილი, 2023**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 204517077 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ი. ჭავჭავაძის გამზ. N 76 ბ |
| ფაქტობრივი მისამართი | ი. ჭავჭავაძის გამზ. N 76 ბ |
| საფოსტო ინდექსი | 0162 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://www.efc.edu.ge/ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   ----------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| დაწესებულების ელ-ფოსტა | secretariat@efc.edu.ge |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | +995 332 294772 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე:<br>**ლეტისია ჰერნანდესი**<br>დირექტორი:<br>**კამელ იასილი** |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 5 98 906 083 |
| ელ-ფოსტა | kamel.yassili@efc.edu.ge |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგულ სკოლაში ვიზიტის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 24 თებერვლის MES 6 23 0000225098 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 23 და 24 მარტი, 2023 |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ქეთევან ბაცანკალაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | მაკა ნადარეიშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   ----------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| ***სტანდარტი*** | ***საგანმანათლებლო პროგრამები*** | ***ხარვეზი*** |
|---|---|---|
| ***ქვესტანდარტი*** | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.2.* | .............. |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| ***ქვესტანდარტი*** | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| ***სტანდარტი*** | ***საგანმანათლებლო პროგრამები*** | ***რეკომენდაცია*** |
|---|---|---|
| ***ქვესტანდარტი*** | *1.1.* | .............. |
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.1.* | ............... |
| | *2.2.* | |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი** | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლა საზღვარგარეთ ფრანგული სწავლების სააგენტოს (AEFE - Agence pour l'enseignement français à l'étranger) მიერ აღიარებული დაწესებულებაა. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება საფრანგეთის ეროვნული განათლებისა და ახალგაზრდობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად. დაწესებულებაში ასევე, ისწავლება ქართული ენა და საქართველოს ისტორია.<br><br>ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერა. სკოლა პედაგოგიურ მხარდაჭერასა და დიფერენცირებულ მიდგომებს სთავაზობს მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლის განსხვავებული რიტმი და შესაძლებლობები აქვთ. დაწესებულებაში კონკრეტული მოსწავლის საჭიროების შესაბამისად იქმნება პერსონალიზებული სასწავლო პროგრამა. |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | სკოლის მიზანია, თითოეულმა მოსწავლემ მიაღწიოს სრულყოფილებას და საუკეთესო საგანმანათლებლო დონეს, ზრუნავს თითოეული მოსწავლის კეთილდღეობაზე, პიროვნულ განვითარებაზე, სთავაზობს თითოეულ მათგანს საკუთარი რიტმით წინსვლის საშუალებას.<br><br>სკოლა ისწრაფის სრულყოფილებისკენ ყველა სფეროში და სურს აღზარდოს განათლებული, დამოუკიდებელი, მოაზროვნე, ტოლერანტი, თავდაჯერებული პიროვნებები და მომავლის კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები.<br><br>როგორც საზღვარგარეთ ფრანგული სწავლების სააგენტოს მიერ აღიარებული, მსოფლიოსთვის გახსნილი, ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების მქონე დაწესებულება, მოსწავლეებს სთავაზობს საფრანგეთის განათლების სამინისტროს მიერ აღიარებულ ფრანგულენოვან სწავლებას, რომელიც ეფუძნება საფრანგეთის რესპუბლიკის ღირებულებებსა და პრინციპებს: სოლიდარობას, ტოლერანტობას, გახსნილობას, მრავალენოვან და კულტურულ მრავალფეროვნებას.<br><br>როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებული დაწესებულება, განათლების სფეროში თანამშრომლობით ხელს უწყობს საფრანგეთსა და საქართველოს შორის ურთიერთგაგების განმტკიცებას და მათი ისტორიის და კულტურის უკეთ ურთიერთგაცნობას. სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოფს ქართული ენის სწავლებას ყველა მოსწავლისთვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უწყვეტ მხარდაჭერას პროფესიული მომავლის შენებაში და აქვს ამბიცია უზრუნველყოს თითოეული მათგანის საუკეთესო საუნივერსიტეტო მომავალი. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| **მოსწავლეთა რაოდენობა:** 700 | **ექსპერტი ეთანხმება** ☒ | **აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | **ექსპერტი არ ეთანხმება** ☐ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

# 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | 2017 წლის 31 აგვისტოს საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგულ სკოლაში სწავლება ხორციელდება საფრანგეთის ეროვნული განათლებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად.<br><br>ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლა საზღვარგარეთ ფრანგული სწავლების სააგენტოს (AEFE - Agence pour l'enseignement français à l'étranger) მიერ აღიარებული დაწესებულებაა.<br><br>**სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია:**<br>● **სკოლის მისია;**<br>● **მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით;**<br>● **სასწავლო პროცესის ორგანიზება** - სასწავლო კალენდარი. სკოლაში სწავლა მიმდინარეობს სამ ტრიმესტრად: I ტრიმესტრი - 5 სექტემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით; II ტრიმესტრი - 5 დეკემბრიდან 17 მარტის ჩათვლით; III ტრიმესტრი - 20 მარტიდან 31 მაისის / 30 ივნისის ჩათვლით. 2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისი თარიღია: 2022 წლის 5 სექტემბერი, ხოლო დასრულების თარიღია - 2023 წლის 30 ივნისი, გარდა მე-12 კლასისა, რომელიც სწავლას ასრულებს 2023 წლის 31 მაისს (სასწავლო პროცესის ორგანიზება შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან);<br>● **დღის რეჟიმი** - გაკვეთილების ხანგრძლივობა კოლეჯსა და ლიცეუმში შეადგენს 55 წუთს; |

| | |
|---|---|
| | <ul><li>**დღის რეჟიმი დაწყებით საფეხურზე** - გაკვეთილები სხვადასხვა ხანგრძლივობისაა, კერძოდ, პირველი გაკვეთილი - 1 საათი 15 წუთი, მეორე გაკვეთილი - 1 საათი 20 წუთი, მესამე გაკვეთილი - 1 საათი და 50 წუთი, მეოთხე გაკვეთილი 55 წუთი; პირველი შესვენება 15 წუთიანია, მეორე შესვენება (სადილის) 65 წუთიანია, მესამე შესვენება 20 წუთიანია;</li><li>**მოსწავლეთა რაოდენობა** - კლასში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა არის 25;</li><li>**საათობრივი ბადე და პროგრამები** - სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ახლავს საათობრივი ბადე. სკოლის საათობრივი ბადე განსხვავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადისგან. საათობრივ ბადეში მოცემულია თითოეული საგნის წლიური ჯამური საათების რაოდენობა და, ასევე, ამავე საგნის კვირეული საათობრივი დატვირთვა. ზოგიერთ საგანში საათობრივი დატვირთვა (წლიური და კვირეული) აღემატება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ჯამურ საათობრივ დატვირთვას (კვირეულს, წლიურს). მაგალითად, მათემატიკას პირველ კლასში წლიური ჯამური საათობრივი დატვირთვა სასკოლო სასწავლო გეგმით აქვს 180 საათი, კვირაში 5 საათი; აღნიშნულ საგანს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ეთმობა წლიური 128-175 საათი, ხოლო კვირეული 5 საათი. სკოლაში სწავლება საფრანგეთის ეროვნული განათლებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ აღიარებული პროგრამით მიმდინარეობს, შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში ვხვდებით ეროვნული (ქართული) სასწავლო გეგმისგან განსხვავებულ საგნებს. სკოლაში ისწავლება ისეთი დასახელების საგნები, რომლებიც ამ სახელწოდებით არ გვხვდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში. მაგალითად, "მორალური და სამოქალაქო სწავლება", "სამყაროს შეცნობა/საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ტექნოლოგია/ციფრული და ტექნოლოგიური მეცნიერებები", (აღნიშნული პროგრამები და საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან);</li><li>**საგნობრივი ჯგუფების კონცეფცია** - საგნობრივი ჯგუფი არის მონათესავე დისციპლინის საგნების მასწავლებელთა</li></ul> |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაერთიანება, რომელიც სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით ახორციელებს სასწავლო აღმზრდელობით, მეთოდოლოგიურ და კვლევით საქმიანობას. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგულ სკოლაში გაერთიანებულია შემდეგი საგნობრივი ჯგუფები - უცხოური ენის; ფრანგული ენის; ქართული ენისა და ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის; საბუნებისმეტყველო საგნების; მათემატიკის; ისტორია-გეოგრაფიის;<br>● **დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა** - 2022-2023 ს/წელს სკოლა დაინტერესებულ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას (დეტალურად მოცემულია 1.2. ქვესტანდარტში);<br>● **საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი** - სკოლაში გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია: ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია (ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში); ბ) სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები; გ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.), (აღნიშნული რესურსები შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან);<br>● **სადამრიგებლო პროგრამა** - ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს სკოლის დირექტორი. სკოლა იყენებს საფრანგეთის ეროვნული განათლებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შემუშავებულ რეკომენდაციებს დამრიგებლის მუშაობის მისიასთან დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს, დამრიგებლის მუშაობის სააღმზრდელო პრინციპებს, მიმართულებებს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და ა.შ.;<br>● **მოსწავლეთა შეფასების წესები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლის შეფასების წესები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიზანი და შეფასების ტიპები. განმსაზღვრელი შეფასება 20 ქულიანია. (რომელიც საჭიროების შემთხვევაში კონვერტირდება 10 ქულიან სისტემაზე. კონვერტირების წესი თან ახლავს სასკოლო სასწავლო გეგმას შეფასების ნაწილში). სკოლაში ტარდება - მე-9 კლასის დამამთავრებელი გამოცდები (სულ 5 გამოცდა, აქედან 4 წერითი და 1 ზეპირი). სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია საგნები, რომლებშიც ტარდება გამოცდები, მათი ხანგრძლივობა და მაქსიმალური ქულა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, ასევე, ბაკალავრის დიპლომის (ატესტატის) მისაღებად საჭირო ქულების დაანგარიშების წესი ;<br>● **ინკლუზიური განათლება** - მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერა სწავლების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია და მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის ოპტიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში მათი უნარებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.<br><br>სწავლების ძირითადი ენაა ფრანგული. სკოლაში ისწავლება ქართული, ინგლისური, ესპანური, გერმანული და რუსული ენები. ქართული ენის სწავლებას ორი სტატუსი აქვს - ქართული, როგორც მშობლიური ენა და ქართული, როგორც უცხოური ენა. სასკოლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია ასევე საქართველოს ისტორია.<br><br>ფრანგული საგანმანათლებლო სისტემის მიხედვით, სრული სასკოლო განათლება მოიცავს 4 ციკლს და ლიცეუმს.<br>I ციკლი - საბავშვო ბაღი (3-5 წლის ბავშვებისთვის);<br>II ციკლი - (ფუნდამენტური სწავლების ციკლი) I-II-III კლასები;<br>III ციკლი - (განმტკიცების ციკლი) IV-V-VI კლასები;<br>IV ციკლი - (სიღრმისეული კვლევის ციკლი) - VII-VIII-IX კლასები;<br>ლიცეუმი - X-XI-XII კლასები.<br><br>დაწყებითი საფეხური მოიცავს I-V კლასებს, საბაზო საფეხური (კოლეჯი) - VI -IX კლასებს, ხოლო საშუალო საფეხური (ლიცეუმი) X - XII კლასებს. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის დასრულების შემდგომ მოსწავლეები იღებენ ატესტატს (ბაკალავრის დიპლომს), რომელიც მათ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქ. ზარინაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უფლებას ანიჭებთ სწავლა გააგრძელონ, როგორც საქართველოს, ასევე ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ (ჩინეთში და ბოლონიის პროცესში ჩართულ) უმაღლეს სასწავლებელში.<br><br>მისიიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს პერსონალიზებულ სასწავლო გეგმას, დიფერენცირებულ მიდგომას, რომელიც მორგებულია კონკრეტული მოსწავლის სწავლის რიტმზე. სასკოლო სასწავლო გეგმა დაფუძნებულია საფრანგეთის ეროვნული განათლებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ აღიარებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და, ასევე, მოიცავს საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს (ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწავლება განსხვავებული პროგრამებითა და საათობრივი ბადით მიმდინარეობს, რაც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, კერძოდ, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტთან. წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტი, თანახმაა სკოლამ სასწავლო პროცესი განახორციელოს 1.2. ქვესტანდარტში მოცემული პროგრამისა და საათობრივი ბადის შესაბამისად.<br><br>ამგვარად, სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, შეესაბამება ფრანგულ სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამას და, ასევე, შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის 2022-2023 სასწავლო სასწავლო გეგმა;<br>2. 2017 წლის 31 აგვისტოს საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული შეთანხმება;<br>3. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (საათობრივი ბადის, სასწავლო პროგრამების / კურიკულუმების, განსხვავებული საგნების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღწერის, სახელმძღვანელოების / სასწავლო რესურსებისა და შეფასების სისტემის) შეთანხმების თაობაზე. 2022 წლის 21/10;<br>4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპასუხო წერილი - სკოლის დირექტორის წერილის თანხმობაზე, MES 8 22 0001631585, 2022 წლის 20/12;<br>5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპასუხო თანხმობის წერილი - 2022-2023 სასწავლო წლის 5 სექტემბერს დაწყებაზე, MES 9 22 0000840486, 2022 წლის 25/07;<br>6. ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;<br>7. ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>8. ინტერვიუ მშობლებთან;<br>9. ინტერვიუ მოსწავლეებთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ-ავკასიის ფრანგულ სკოლაში დაწყებით საფეხურზე პროგრამა სწავლების ხუთი სფეროს მიხედვითაა აგებული: მეტყველება, სამყაროს აღმოჩენა, სოციალიზაცია, სხეულის ენა და ექსპრესია და შემოქმედებითი უნარების განვითარება. კოლეჯში მეტი ყურადღება ექცევა სწავლების მეთოდოლოგიასა და რიტმს. ლიცეუმში მოსწავლეები ითვისებენ და იღრმავებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ ფრანგული ბაკალავრის დიპლომის (ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი) მოსაპოვებლად სჭირდებათ.<br><br>ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგულ სკოლაში, როგორც 1.1. ქვესტანდარტში აღვნიშნეთ, სწავლა ხორციელდება ფრანგულ ენაზე, საფრანგეთის ეროვნული განათლების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამების/კურიკულუმის მიხედვით. შესაბამისად, სკოლის საათობრივი ბადე განსხვავდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საათობრივი ბადისგან. ასევე, ისწავლება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგნები, რომლებიც აღნიშნული სახელწოდებით არ გვხვდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროგრამები და მათი დეტალური აღწერა. როგორც 1.1. ქვესტანდარტშია აღნიშნული, სკოლის სასწავლო გეგმა გამომდინარეობს საფრანგეთის ეროვნული პროგრამიდან და მასში ინტეგრირებულია (ქართული) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები. სასკოლო სასწავლო გეგმაში ვხვდებით ისეთ საგნებს, რომლებიც არ გვხდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ან პირიქით სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის მოცემული ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული კონკრეტული საგანი, თუმცა მისი სწავლება ინტეგრირებულად ხდება სხვა საგნის ჭრილში. აღნიშნული სხვაობა შემდეგი სახისაა: საგანი მე და საზოგადოება (III და IV კლასებში) ფრანგული სასწავლო გეგმით - მორალური და სამოქალაქო სწავლება - მესამე კლასში სამყაროს შეცნობასთნ ერთად, ხოლო მეოთხე კლასში ისტორია-გეოგრაფიასთან ერთად ისწავლება. ბუნებისმეტყველების სწავლება (I-VI კლასებში) ინტეგრირებულია საგანებთან - სამყაროს შეცნობა (I-III კლასები) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ტექნოლოგია (IV-VI კლასები); სამყაროს შეცნობა მოიცავს ისტორიის, გეოგრაფიის და ბუნებისმეტყველების საფუძვლებს. სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (XII კლასში), ისწავლება მორალური და სამოქალაქო სწავლების ფარგლებში. საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (XI კლასში), ისწავლება კოლეჯში VII და IX კლასებში, მორალური და სამოქალაქო სწავლების ფარგლებში. VII კლასში, მოსწავლეები აბარებენ გამოცდის პირველ ეტაპს და იღებენ "საგზაო უსაფრთხოების სასკოლო მოწმობა 1-ს" (ASSR 1 Attestation scolaire de sécurité routière); IX კლასში სწავლობენ თეორიის მეორე ნაწილს, აბარებენ გამოცდას და იღებენ "საგზაო უსაფრთხოების სასკოლო მოწმობა 2-ს" (ASSR 2- Attestation scolaire de sécurité routière); IV-VI კლასებში კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება ინტეგრირებულია საგანთან "საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ტექნოლოგია". ხოლო "ტექნოლოგია" VII-IX კლასებში ისწავლება ცალკე საგნად. X კლასში აღნიშნულ საგანს ჰქვია "ციფრული და ტექნოლოგიური მეცნიერებები" (SNT). მუსიკა I-IX კლასებში ისწავლება სახელწოდებით მუსიკალური განათლება; ფიზიკური აღზრდა / ფიზიკური აღზრდა და სპორტი I-XII კლასებში ისწავლება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სახელწოდებით - ფიზიკური და სპორტული აღზრდა. მოქალაქეობა (VII-X კლასებში) ისწავლება მორალური და სამოქალაქო სწავლების ფარგლებში. ისტორია (VII-XII კლასებში) ისწავლება ისტორია-გეოგრაფიის ფარგლებში (გეოგრაფიასთან ინტეგრირებულად), ისევე, როგორც გეოგრაფია VII-XI კლასებში ისწავლება ისტორიასთან ინტეგრირებულად. ქიმია (ისწავლება შემდეგი სქემით: VI კლასში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიის ფარგლებში, VII-X კლასებში ისწავლება ფიზიკასთან ინტეგრირებულად, ხოლო XI კლასში სამეცნიერო საგნების ფარგლებში ბიოლოგიასთან და ფიზიკასთან ინტეგრირებულად. ეროვნული სასწავლო გეგმით გათლისწინებული საგნები: ჭადრაკი (I კლასში) - არ ისწავლება, პროექტი სამოქალაქო განათლებაში (X კლასში) - არ ისწავლება და პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში / მუსიკაში (X კლასში) - არ ისწავლება.<br><br>როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლას პროგრამები და საგნების ინტეგრირებული სწავლების სქემა სკოლას შეთანხმებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.<br><br>სკოლაში ქართული ენა ისწავლება, როგორც მშობლიური ენა და როგორც უცხოური ენა. მოსწავლეები, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები, ასევე სწავლობენ საქართველოს ისტორიას (ქართულად). ხოლო უცხოენოვანი მოსწავლეებისთვის საქართველოს ისტორია ისწავლება ქართული ენის კურსთან ინტეგრირებულად.<br><br>გარდა ამისა, როგორც 1.1. ქვესტანდარტში აღინიშნა, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას: ხელოვნებას - I-V კლასებს; სიმღერას - I-II –III კლასებს; გუნდურ სიმღერას IV-V კლასებს; დებატების კლუბს VII-VIII კლასებს; მეცნიერების კლუბს VIII-IX-X-XI-XII კლასებს; სპორტულ თამაშებს I-V კლასებს; კალიგრაფიას II-III კლასებს; კინოს III კლასებს; კინო კლუბს კოლეჯ-ლიცეუმის მოსწავლეებისთვის IX-X-XI-XII კლასებს; თეატრს II-III კლასებს; სამაგიდო თამაშებს I- II კლასებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დამატებით მომსახურებას (აქტივობას) მოჰყვება მოკლე აღწერა იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული აქტივობის დროს. **დამატებით ფასიან მომსახურებად სკოლა ასევე სთავაზობს**: ცურვას - III-IV-V კლასებს (აღსანიშნავია, რომ ცურვა მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია გაკვეთილების ცხრილშიც, როგორც სავალდებულო საგანი); თეატრს VII-VIII კლასებს; რაგბის IV-V-VI-VII კლასებს.<br><br>დამატებითი მომსახურების დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნები და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მიიღონ თავიანთი ინტერესების შესაბამისი განათლება. განივითარონ და ჩამოიყალიბონ ისეთი უნარები, როგორებიცაა გუნდური მუშაობა, ინიციატივის გამოჩენა, ერთმანეთის მოსმენა, განსხვავებული აზრის მიღება, დებატებსა და დისკუსიებში მონაწილეობის კულტურა და საკუთარი მოსაზრების დაცვა, რაც მოსწავლეებს დაეხმარება გახდნენ თანამედროვე თუ მომავალი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (საათობრივი ბადის, სასწავლო პროგრამების / კურიკულუმების, განსხვავებული საგნების აღწერის, სახელმძღვანელოების / სასწავლო რესურსებისა და შეფასების სისტემის) შეთანხმების თაობაზე. 2022 წლის 21/10; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპასუხო წერილი - სკოლის დირექტორის წერილის თანხმობაზე, MES 8 22 0001631585, 2022 წლის 20/12;<br>4. ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;<br>5. ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>6. ინტერვიუ მშობლებთან; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგულ სკოლას არ ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.<br><br>უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლისთვის მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერა სწავლების ერთ-ერთი ძლიერი მხარე და მთავარი პრინციპია და მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის ოპტიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში მათი უნარებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა სამუშაო რვეულებით, კვირეული გეგმებით, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობას აძლევს თითოეულ მოსწავლეს. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესსა და გაკვეთილებს. კლასის დამრიგებელი (ძირითადი მასწავლებელი) ხელს უწყობს სხვა მასწავლებლებს დაადგინონ მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებები და გაკვეთილები, დამატებითი მეცადინეობები დაგეგმონ მათი ინტერესების შესაბამისად. ცოდნის ეტაპობრივი ათვისება ერთნაირად არ ხდება, ამიტომ სკოლა დამატებით პედაგოგიურ მხარდაჭერას სთავაზობს სწავლაში სიძნელეების მქონე მოსწავლეებს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გარდა ამისა, სკოლა იზიარებს ინკლუზიური განათლებისადმი საქართველოს განათლების სისტემის მიდგომას და გააჩნია მისი განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ერთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და პერსონალიზებული სასწავლო გეგმის ნიმუშები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N6 პერსონალიზებული სასწავლო გეგმის ნიმუში; N7 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.<br>3. ვიზუალური დათვალიერება (მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები (რვეულები); მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარები, ჩანაწერები;<br>4. ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>5. ინტერვიუ მოსწავლეებთან;<br>6. ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;<br>7. ინტერვიუ მშობლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის შეფასების წესები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს.<br><br>სკოლა შეფასების მიზნით იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება I-V კლასებში, ხოლო განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასება VI-XII კლასებში. ყოველი ციკლის (II ციკლი - I-II-III კლასები; III ციკლი -IV-V-VI კლასები; IV ციკლი VII-VIII-IX კლასები) ბოლოს მოსწავლე ფასდება ოთხდონიანი შკალით: "დონე 1 (**«არასაკმარისი ფლობა»**) ნიშნავს, რომ ციკლის ბოლოს მოსალოდნელი უნარები არ არის საკმარისად ათვისებული; დონე 2 (**«სუსტი ფლობა»**) შეესაბამება იმ ცოდნას და უნარებს, რომელიც გამტკიცებას საჭიროებს; დონე 3 (**«დამაკმაყოფილებელი ფლობა»**); დონე 4 (**«ძალიან კარგი ფლობა»**). აღსანიშნავია, რომ თუ მოსწავლე IV ციკლის (საბაზო საფეხური) ბოლოს ფლობს შეფასებას დონე 3 (**«დამაკმაყოფილებელი ფლობა»**), ნიშნავს, რომ მან დაძლია ზოგადი საბაზო საფეხური, ხოლო თუ მისი შეფასებაა დონე 4 (« ძალიან კარგი ფლობა »), ეს აღნიშნავს, რომ მან განსაკუთრებით მტკიცედ დაძლია და გადააჭარბა მოლოდინებს.<br><br>მშობლების ინფორმირებისთვის გამოიყენება შეფასების მარტივი და ზუსტი საშუალება, პერიოდული შეფასებების ბიულეტენი (მიმდინარე შეფასება), ხოლო სემესტრული ბიულეტენი (შეფასების ფურცელი) მშობლებს იანვარსა და ივნისში მიეწოდებათ.<br><br>კოლეჯსა და ლიცეუმში, VI კლასიდან XII კლასის ჩათვლით მოსწავლე ფასდება წელიწადში სამჯერ, შესაბამისად, მშობელს წელიწადში სამჯერ დეკემბერში, აპრილსა და ივნისში მიეწოდება შეფასებების ტრიმესტრული ბიულეტენები, სადაც განმავითარებელ შეფასებებს თან ახლავს ნიშნებიც. ტრიმესტრის განმავლობაში მინიმუმ სამი შემაჯამებელი შეფასება ტარდება თითოეულ საგანში, გარდა: ფიზიკური აღზრდა და სპორტი და მორალური და სამოქალაქო სწავლება, ამ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგნებში, ტრიმესტრის განმავლობაში მინიმუმ ერთი შემაჯამებელი შეფასებაა სავალდებულო.<br><br>რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასება 20 ქულიანია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კონვერტირდება 10 ქულიან სისტემაზე. შეფასების სისტემა შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროთან, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტთან.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, მოსწავლის კლასში დარჩენის წესები კოლეჯსა და ლიცეუმში იმ შეთხვევაში თუ მოსწავლის შეფასება ყველა საგანში 10-ზე დაბალია. კლასის საბჭო მოსწავლეს და მოსწავლის მშობლებს სთავაზობს კლასში დარჩენას, თუ მშობელი არ ეთანხმება მაშინ დირექტორი ცდილობს დაარწმუნოს ის, კვლავ უარის შემთხვევაში, დირექტორი მიმართავს სააპელაციო კომისიას. სააპელაციო კომისიის სხდომას ესწრებიან მოსწავლის მშობლები, დამრიგებელი, სკოლის დირექტორი, კლასის მოსწავლეთა დელეგატი და საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი თანამშრომლობისა და კულტურის დარგში. საბოლოო გადაწყვეტილებას მოსწავლის კლასში დატოვების ან მომდევნო კლასში გადაყვანის თაობაზე იღებს სააპელაციო კომისია და მშობელი და მოსწავლე ვალდებულია, დაემორჩილოს ამ გადაწყვეტილებას.<br><br>სკოლაში ტარდება IX კლასის დამამთავრებელი გამოცდა 5 საგანში: ფრანგული - წერითი გამოცდა; მათემატიკა -წერითი გამოცდა; ისტორია-გეოგრაფია, მორალური და სამოქალაქო სწავლება - წერითი გამოცდა; საბუნებისმეტყველო საგნები; ფიზიკა-ქიმია, ბიოლოგია და ტექნოლოგია -წერითი გამოცდა ; პროექტის პრეზენტაცია ხელოვნების ისტორიაში ან რომელიმე სასწავლო კურსში - ზეპირი გამოცდა. ზეპირ მოხსენებას მოსდევს გასაუბრება. გამოცდაზე მოსწავლე ფასდება 400 ქულით (მაქსიმუმ). სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილი შეფასებაა 400 ქულა (მაქსიმუმ). ციკლის (საფეხურის) შეფასების მაქსიმალური ქულა არის 800, რომელიც ანგარიშდება გამოცდის 400 ქულისა და სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილი 400 ქულის ჯამით. მიღებული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შედეგების მიხედვით, მოსწავლემ შეიძლება მიიღოს შემდეგი შეფასება: 480 ქულის ზევით - საკმაოდ კარგი 560 ქულის ზევით- კარგი 640 ქულის ზევით-ძალიან კარგი.<br><br>ლიცეუმის (საშუალო საფეხურის) წარმატებით დასასრულებლად და ბაკალავრის დიპლომის (ზოგადსაგანმანათლებლო ატესტატის) მოსაპოვებლად, მოსწავლემ XII კლასის ბოლოს უნდა ჩააბაროს საბაკალავრო გამოცდები. საბოლოო შეფასების მისაღებად გამოითვლება მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასებში სავალდებულო საგნებში მიღებული შეფასება, რომელთა კოეფიციენტია 40% და გამოცდის შედეგები, რომელთა კოეფიციენტია 60%. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N6 პერსონალიზებული სასწავლო გეგმის ნიმუში; N7 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.<br>3. ვიზუალური დათვალიერება (მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები (რვეულები); მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარები, ჩანაწერები;<br>4. ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>5. ინტერვიუ მოსწავლეებთან;<br>6. ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;<br>7. ინტერვიუ მშობლებთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. მშობლებს/მოსწავლეებს სავალდებულო ინფორმაცია მიეწოდებათ საინფორმაციო პანოების, ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის, ცირკულარული წერილებისა და მიმოწერის დღიურის მეშვეობით. სასკოლო ცხოვრებაში ჩართული წევრები – მოსწავლეები, მშობლები და სკოლის პერსონალი – რეგულარულად უნდა გაეცნონ ამ ინფორმაციას. გარდა ამისა, სასწავლო წლის დასაწყისში თითოეულ კლასში ტარდება საინფორმაციო კრება, სადაც განიხილება სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაო და პედაგოგიური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.<br><br>რაც შეეხება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას, ამ მიმართულებით სკოლა კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ პროგრამებს. კერძოდ, I-V კლასის ჩათვლით, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელი ინფორმაციას იღებს წელიწადში ხუთჯერ. გარდა ამისა, მშობელს ყოველდღიურად აქვს საშუალება, მიიღოს ინფორმაცია მიცემული დავალების შესახებ www.livreval.fr -ის პორტალზე. წელიწადში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სამჯერ კლასის დამრიგებელსა და მშობლებს აქვთ ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლის აკადემიური მოსწრების განხილვის შესახებ.<br><br>ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე ვიზიტისას გაესაუბრა მასწავლებლებს, რომლებმაც დამატებით აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს სამუშაო რვეულებში გარკვეული პერიოდულობით უწერენ კომენტარს (აკადემიური მოსწრების შესახებ). მშობლებს მოეთხოვებათ გაეცნონ კომენტარებს, რასაც ადასტურებენ რვეულში ხელმოწერის საშუალებით.<br><br>VI-XII კლასებში, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელი ინფორმირებულია ყოველდღიურად სასკოლო პროგრამა Pronote-ის საშუალებით. გარდა ამისა, მშობელი წელიწადში სამჯერ იღებს მოსწავლის ტრიმესტრული ნიშნების ფურცელს, რომელშიც ნიშნებთან ერთად მოცემულია სიტყვიერი კომენტარი. ასევე, წელიწადში სამჯერ, მშობლებს აქვთ ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლის აკადემიური მოსწრების განხილვის შესახებ.<br><br>სკოლაში შექმნილია და აქტიურად ფუნქციონირებს მშობლების ასოციაცია, რომელიც მაქსიმალურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. ყოველივე ზემოხსენებული ინფორმაციისა და დოკუმენტების შეჯამებისას, აშკარაა, რომ სკოლა თანამშრომლობს მშობლებთან და მათთან ამყარებს ეფექტური კომუნიკაციას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი;<br>2. ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის შინაგანაწესი;<br>3. ვიზუალური დათვალიერება (მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები (რვეულები); მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარები, ჩანაწერები;<br>4. ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>5. ინტერვიუ მოსწავლეებთან;<br>6. ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;<br>7. ინტერვიუ მშობლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც, ის უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემდგომ გაუმჯობესებას.<br><br>სასკოლო პროცესის შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში დანერგილია შეფასების ორი ფორმა: შიდა ხარისხის მართვის სისტემა და გარე ხარისხის მონიტორინგი.<br><br>**შიდა ხარისხის მართვის სისტემის** ფარგლებში სკოლის დირექტორი პერიოდულად აფასებს მასწავლებელთა და თანამშრომელთა საქმიანობას, საზღვარგარეთ ფრანგული სწავლების სააგენტოს მიერ შემუშავებული რუბრიკებით, (თითოეული თანამშრომელი ფასდება მისი პოზიციისა და ხელშეკრულებით დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად). საჭიროების შემთხვევაში, ესწრება გაკვეთილებს და მართავს დამატებით შეხვედრას პედაგოგებთან. გარდა ამისა, სკოლის დირექტორი აანალიზებს სკოლაში მიმდინარე პროცესებს.<br><br>**გარე ხარისხის მონიტორინგი**, ხორციელდება ორი გზით. მათგან ერთი წარმოადგენს საზღვარგარეთ ფრანგული სწავლების სააგენტოს (AEFE - Agence pour l'enseignement français à l'étranger) მიერ 6 წელიწადში ერთხელ აღიარების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებულ მონიტორინგს. მეორე წარმოადგენს - სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიურ ან/და არაგეგმიური მონიტორინგს, ასევე, ყოველ 6 წელიწადში ერთხელ საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ავტორიზაციას.<br><br>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ა(ა)იპ-“კავკასიის ფრანგული სკოლის” ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;<br>2. ა(ა)იპ-“კავკასიის ფრანგული სკოლის” მასწავლებელთა პორტფოლიოები;<br>3. ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>4. ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | - |
| **რჩევები:** | - |
| **ხარვეზები:** | - |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლა განთავსებულია მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზირი N 76ბ.<br><br>2022 წლის 26 დეკემბრის საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება მესაკუთრესთან შპს "თბილისის ფრანგული სკოლა". იჯარით სარგებლობის ხელშეკრულება, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ძალაშია 2029 წლის 31 დეკემბრამდე.<br><br>დაწესებულება მდებარეობს ეკოლოგიურად სუფთა ზონაში, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე. შენობა-ნაგებობა შვიდსართულიანია; სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, დატვირთულია შენობის სარდაფი (-1 სართული) და 5 მიწისზედა სართული. სკოლის შენობის შიდა მოწყობა და დიზაინი ქმნის სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შესაფერის გარემოს. შენობის სახურავი ვიტრაჟულია, რაც იძლევა სკოლის შიდა პერიმეტრის ბუნებრივი განათების საშუალებას და ხელს უწყობს თითოეული სართულის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული შიდა ორანჟერეისათვის მზის სინათლის მიწოდებას. საკლასო ოთახები გადანაწილებულია სხვადასხვა სართულზე ისე, რომ არ ხდება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისა და კოლეჯის და ლიცეუმის მოსწავლეების სასწავლო სივრცეების გადაკვეთა. სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სართულები შეღებილია განსხვავებული ფერებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულების -1 სართულზე განთავსებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი და ტექნიკური პერსონალისათვის განკუთვნილი ოთახები. 0 სართულზე (სრულად მიწისზედა სართული) მდებარეობს სკოლის ცენტრალური შესასვლელი და სასადილო. 1 სართულზე განთავსებულია ადმინისტრაციის ფლიგელი, ექიმისა და ექთნის ოთახები, ფსიქოლოგის ოთახი და დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახი. მე-2 სართულზე განთავსებულია დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახები და ბიბლიოთეკა. მე-3 სართულზე მდებარეობს კოლეჯის საფეხურის საკლასო ოთახები და 4 ლაბორატორია, თავისი საცავებითა და საპრეპარატო სივრცეებით. მე-4 სართულზე განთავსებულია დამამთავრებელი საფეხურის - ლიცეუმის - საკლასო ოთახები და მოსწავლეთა მოსასვენებელი სივრცე.<br><br>სკოლას აქვს ეზო და სპორტული მოედანი, რომელზეც ვიზიტის განმავლობაში მიმდინარეობდა კეთილმოწყობის სამუშაოები.<br><br>დაწესებულების 0 სართულზე ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, რომელიც დირექტორის ბრძანებით არის გამიჯნული სკოლის საერთო ფართიდან. საბავშვო ბაღს აქვს იზოლირებული შესასვლელი, ფლიგელი და ეზო. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ი. ჭავჭავაძის გამზირი N 76ბ. |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | N 01.14.10.002.056 |
| *კვ.მ.* | **მიწის ნაკვეთი: 4357 კვმ;**<br><br>**შენობა-ნაგებობა: 8156.65 კვმ. (აქედან 392.36 კვმ ეთმობა საბავშვო ბაღს, რომელიც გამიჯნულია და აქვს იზოლირებული შესასვლელი).** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>2. შიდა აზომვითი ნახაზი;<br>3. ვიზუალური დათვალიერება;<br>4. დირექტორის ბრძანება ფართის გამიჯვნის შესახებ. |
| **შეფასება** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულება აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. თითოეულ საკლასო ოთახში წარმოდგენილია დაფა, მასწავლებლის მაგიდა, კომპიუტერი, პროექტორი და ეკრანი, საჭირო სათავსოები და კარადები, სხვა მატერიალური რესურსი, თვალსაჩინოება და ინვენტარი (მაგნიტები, მიმანიშნებელი სიმბოლოები, პოსტერები და თემატური პლაკატები). საკლასო ოთახების დიდი ნაწილი აღჭურვილია ორადგილიანი და ერთადგილიანი მერხებით (შერეული პრინციპით) და მათი განლაგება ხშირად იცვლება, აქტივობების შინაარსიდან და ფორმიდან გამომდინარე.<br><br>**სულ საკლასო ოთახების რაოდენობა: 25**<br>**დამხმარე ოთახების რაოდენობა: 5**<br><br>**ორადგილიანი მერხების რაოდენობა - 331;**<br>**ინდივიდუალური მერხების რაოდენობა - 184;**<br>**სულ მოსწავლეთა შესაძლო რაოდენობა ორადგილიან და ინდივიდუალურ მერხებზე გათვლით - 846.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. საკლასო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ორადგილიანი და ინდივიდუალური მერხების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. ინტერვიუ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულება ფლობს შიდა სპორტულ დარბაზს, გარე სპორტულ მოედანსა და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებულ საცურაო აუზს, საშხაპეებითა და გასახდელებით.<br><br>ვიზიტის დროს მიმდინარეობდა გარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.<br><br>დაწესებულების ბალანსზეა მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი (ბურთები, ბადმინტონის კომპლექტები, მაგიდის ჩოგბურთი და შესაბამისი ინვენტარი, ბოულინგის კომპლექტი, სპორტული მატრასები და სხვა), რაც მოსწავლეთა ჯანსაღი ფიზიკური განვითარებისათვის შესაბამისი აქტივობების განხორციელების საშუალებას იძლევა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები :** | 1. სპორტული ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებაში ფუნქციონირებს 4 ლაბორატორია.<br><br>1. **კომპიუტერული ლაბორატორია** აღჭურვილია 24 პერსონალური კომპიუტერითა და 3D პრინტერით. კომპიუტერებში ჩატვირთულია კოდირებისა და პროგრამირების შესასწავლი პროგრამები, მათ შორის, პროგრამა Pythone;<br>2. **ქიმია-ფიზიკის ლაბორატორია** აღჭურვილია შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სადემონსტრაციო ინვენტარით. ლაბორატორიას აქვს ცალკე საცავი, სადაც ინახება ცდებისათვის საჭირო მოწყობილობები, რეაქტივები და პრეპარატები, მოძრავი გამწოვი კარადა, მაცივარი ქიმიური რეაგენტებისთვის, ტელესკოპი, ცენტრიფუგა, წყლის დისტილატორი, მაგნიტური სარეველა, კონდუქტომეტრი და პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო სხვა ინვენტარი. ლაბორატორია ფლობს კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე გათვლილ ლეპტოპებს, რომლებშიც ჩატვირთულია სასწავლო-სამეცნიერო პროგრამები. ლეპტოპები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინახება პორტატულ კარადაში, რომელიც განთავსებულია ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიის საცავში. შესაბამისად, ლეპტოპების მოსწავლეებისათვის მიწოდება შესაძლებელია ლაბორატორიული გაკვეთილის მსვლელობისას, დაგეგმილი აქტივობის დროს.<br>3. **გეოლოგია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში** წარმოდგენილია საგნობრივი სპეციფიკის შესაბამისი აღჭურვილობა. კერძოდ, ლაბორატორიის მფლობელობაშია კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე გათვლილი მიკროსკოპები, ლაბორატორიული სასწორები, ბიოლოგიური მოდელები, მინერალები და წიაღისეულის ნიმუშები. ლაბორატორიას აქვს ცალკე საპრეპარატო ოთახი, სადაც დაცულია ცდებისათვის საჭირო სხვადასხვა ინსტრუმენტი, ბიოლოგიური და გეოლოგიური პრეპარატები, სისხლის ჯგუფის დასადგენი ნაკრები, მცენარეთა მტვერი და ფორამინიფერები სხვადასხვა პერიოდის კლიმატის შესასწავლად, ასევე, მდინარისა და ეროზიის მოდელი, და სხვ.;<br>4. **თანამედროვე ტექნოლოგიების ლაბორატორიის** დანიშნულებაა მოსწავლეებში გამომგონებლობისა და სიახლეების შექმნის წახალისება. ლაბორატორიაში მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიური მოდელებისა და კონსტრუქციების შექმნა და აწყობა.<br><br>სკოლის ყველა ლაბორატორიაში განთავსებულია ონკანები; დაწესებულებას შეძენილი აქვს ლაბორატორიის ხალათები, დამცავი სათვალეები, ხელთათმანები და სადეზინფექციო სითხეები. ლაბორატორიების შესასვლელებთან განთავსებულია ცეცხლმაქრები.<br><br>ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებისა და კვლევა-ძიებითი პრაქტიკული სამუშაოების განხორციელებისათვის შესაფერის გარემოს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ლაბორატორიული ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 3. ინტერვიუ ქიმიისა და ფიზიკის მიმართულების ხელმძღვანელთან;<br>4. ინტერვიუ ბიოლოგიის მასწავლებელთან.<br>5. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებაში არის საგანმანთლებლო პროცესის წარმართვისათვის შესაფერისი გარემო.<br><br>სკოლას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. გარდა ამისა, სკოლაში დამონტაჟებულია ავარიული გათიშვების დროს გენერატორზე ავტომატური გადართვის სისტემა. მთლიანი შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური კონდიცირებითა და გათბობით.<br><br>დაწესებულების ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის, ვაჟებისა და სკოლის პერსონალისთვის. ასევე თითოეულ სართულზეა მოწყობილი ადაპტირებული საპირფარეშო. სულ დაწესებულებაში განთავსებულია 69 სველი წერტილი, მათ შორის 17 ადაპტირებულია.<br><br>დაწესებულებაში განთავსებულ ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათებისა და განიავების საშუალება. ვიტრაჟული სახურავი კი შენობის შიდა პერიმეტრზე მზის სინათლის მაქსიმალურ მიწოდებას უზრუნველყოფს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. შიდა აზომვითი ნახაზი;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებაში ფუნქციონირებს მრავალფეროვანი ბეჭდური და ელექტრონული რესურსით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარებასა და კითხვის სიყვარულის გაღვივებას.<br><br>ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის თვალსაჩინო ნაწილს შეადგენს ფრანგულენოვანი ლიტერატურა, სამეცნიერო გამოცემები, პერიოდიკა და სახელმძღვანელოები. გარდა ფრანგულენოვანი წიგნადი ფონდისა, ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ინგლისური და ქართულენოვანი წიგნები, ასევე, ლიტერატურა იმ უცხოურ ენებზე, რომლებსაც მოსწავლეები სხვადასხვა საფეხურსა და კლასებში შეისწავლიან.<br><br>დაწესებულება აღჭურვილია ციფრული რესურსებით, დისკებით, ელექტრონული სახელმძღვანელოებით. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული პორტალი: https://eduscol.education.fr/, რომელზეც განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო და საკითხავი მასალა საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით; შესაბამისად, ციფრული რესურსების გამოყენება ადგილზევეა შესაძლებელი.<br><br>ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 2 კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომლებიც სარგებლობენ ელექტრონული აღრიცხვის სისტემით BCDI. აღნიშნულ სისტემაში დამუშავებულია 25000-ზე მეტი წიგნადი ერთეული.<br>ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ბიბლიოთეკის სამუშაო საათები და ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ბიბლიოთეკა ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსწავლისა და მასწავლებლისთვის, ამიტომ დაწესებულების სამუშაო საათების განმავლობაში ბიბლილიოთეკის კარი არასდროს იკეტება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წარმოდგენილია ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა და განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. პერიოდული გამოცემების გამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>4. ბიბლიოთეკის დებულება, სამოქმედო გეგმა და განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი;<br>5. ინტერვიუ ბიბლიოთეკართან;<br>6. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულება სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.<br><br>სკოლის შესასვლელი იმგვარად არის მოწყობილი, რომ ეტლით მოსარგებლე პირს არ ესაჭიროება პანდუსი. შენობის სართულებზე გადაადგილების მიზნით, კი დამონტაჟებულია თანამედროვე ლიფტის სისტემები.<br><br>ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. ოთახებისა და საპირფარეშოების შესასვლელებში არ ფიქსირდება კარის ჩარჩო ან ზღურბლი, რაც შექმნიდა გადაადგილების ბარიერს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. შიდა აზომვითი ნახაზი. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგულ სკოლას გააჩნია საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.<br><br>სკოლაში არის მუდმივი ინტერნეტისათვის აუცილებელი გაყვანილობა; უკაბელო ინტერნეტი (WiFi), რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის შენობის ნებისმიერ წერტილში.<br><br>სკოლის მფლობელობაშია 98 პერსონალური კომპიუტერი / ლეპტოპი და 33 პროექტორი.<br><br>დაწესებულება სათანადოდ არის აღჭურვილი ქსეროქსისა და პრინტერის აპარატებით. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია კომპიუტერი, პროექტორი და ეკრანი. სკოლას აქვს "ეფლის" ფირმის პლანშეტური კომპიუტერები, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად.<br><br>ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის ვებ-გვერდია **https://www.efc.edu.ge/**, ხოლო ელექტრონული ფოსტა - **secretariat@efc.edu.ge.** მათი საშუალებით შესაძლებელია დაინტერესებული მხარეების მიერ სასკოლო ცხოვრების სიახლეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და სკოლასთან კომუნიკაცია.<br><br>მშობლებისა და მოსწავლეების ინფორმირების მიზნით, დაწესებულება იყენებს ელექტრონულ სისტემებს Pronote და LivreVal. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. სკოლის ვებ-გვერდი **https://www.efc.edu.ge/;**<br>2. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. კომპანია სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულება სრულად არის აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინვენტარით. დაწესებულების ყველა სართულზე, საევაკუაციო გეგმაზე დატანილი წერტილების შესაბამისად, განთავსებულია დამუხტული ცეცხლმაქრები - სულ 49. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები და წყლის ავტომატური ჭავლის ქსელი, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა, საევაკუაციო გზის მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები (EXIT Signs) და საავარიო განათება. დაცვის ოთახში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაციების მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პუნქტი.<br><br>დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სსიპ - საგანგებო მართვის სიტუაციების სამსახურთან.<br><br>სკოლაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელმაც წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია მოიცავს სამუშაო გარემოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას, შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციებს პედაგოგებისათვის, პერსონალისა და ადმინისტრაციისათვის. განსაზღვრულია პირველად სამედიცინო დახმარებაზე, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის აღრიცხვასა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების გამართულ მუშაობაზე პასუხიმგებელი პირები.<br><br>შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი 6 თვეში ერთხელ ამოწებს რისკების ფიზიკურ ფაქტორებს და ატარებს ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს მათი პრევენციის მიზნით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმა;<br>2. ცეცხლმაქრების ფლობისა და დამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი დოკუმენტაცია და შესაბამისი ბრძანებები;<br>4. ინტერვიუ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან;<br>5. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. საევაკუაციო გეგმები;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგულ სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br><br>სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია სამედიცინო ტახტით, საწოლებით, ტიხრული შირმით, კარადით, ონკანით, აუცილებელი სამედიცინო ინვენტარითა და მედიკამენტებით. ექიმის კაბინეტის გვერდით განთავსებულია ექთნის ოთახი, ასევე, - მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო ინვენტარის შესანახი ოთახი.<br><br>სკოლაში დასაქმებულია No41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელიც აწარმოებს სამედიცინო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემთხვევებისა და მედიკამენტების აღრიცხვის ფორმებს, აღნიშნული წესის შესაბამისად. გარდა No41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული ფორმებისა, სკოლის ექიმი სამედიცინო შემთხვევებს აღრიცხავს ელექტრონულ სისტემაში, რომლის საშუალებითაც, მშობელი დაუყოვნებლივ იღებს ინფორმაციას მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.<br><br>**მიმდინარე სასწავლო წელს, დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეთა რაოდენობისათვის სრულიად საკმარისია ერთი ექიმი, თუმცა ვინაიდან სკოლის მიერ მოთხოვნილი კონტიგენტი განისაზღვრება 700 მოსწავლით, ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რეკომენდაცია ექთნის ვაკანსიის გამოცხადების შესახებ. კონკურსი ექთნის თანამდებობაზე გამოცხადდა ვიზიტის პერიოდში.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;<br>2. სამედიცინო აღრიცხვის ფორმები;<br>3. სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>4. დაწესებულებაში დასაქმებული ექიმის პირადი საქმე;<br>5. კონკურსის გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>6. ინტერვიუ ექიმთან;<br>7. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგულ სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.<br><br>დაწესებულებაში დასაქმებულია დაცვის 5 თანამშრომელი, რომლებიც უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას, სკოლაში ვიზიტორთა დაშვების პროცედურებს, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგს, სახანძრო სისტემების მეთვალყურეობას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გარდა ამისა, სკოლაში მუშაობს 4 საგანმანათლებლო ასისტენტი, რომლებსაც ევალებათ მოსწავლეთა გამოცხადება-დაგვიანების აღრიცხვა აკადემიური და კლასგარეშე აქტივობების დროს, ასევე, კვებისა და დასვენების პროცესში მოსწავლეთა მონიტორინგი და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.<br><br>აქედან გამომდინარე, დაწესებულებაში შექმნილია უსაფრთხო და დაცული გარემო, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი მექანიზმებითა და ადამიანური რესურსით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი;<br>2. დაცვის თანამშრომლებთან და საგანმანათლებლო ასისტენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად აღჭურვილია გამართული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, რომელიც შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.<br><br>კერძოდ, სკოლის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია 52 შიდა და 18 გარე კამერა - სულ 70 ვიდეო-კამერა. სკოლის შენობის მთავარ შესასვლელში დამონტაჟებულია ორი კამერა ურთიერთმკვეთი მიმართულებით. კონტროლდება სკოლის შიდა დერეფნები, საერთო სივრცეები, გარე სპორტული მოედანი და ეზო. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მიერ გადაცემული კადრები ასახულია დაცვის ოთახში განთავსებულ მონიტორებზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის სტრუქტურა მოიცავს მმართველ კომიტეტს, სკოლის დირექტორს, თანამშრომლებს, სათათბიროებს (დაწესებულების საბჭო, სკოლის საბჭო, დისციპლინური საბჭო) და საკონსულტაციო (ლიცეუმელების საბჭო, კოლეჯელების საბჭო, პედაგოგიური საბჭო) ინსტანციებს.<br><br>მმართველი კომიტეტი წარმოადგენს სკოლის ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც შედგება 3 მუდმივი და 3 დროებითი წევრისგან. კომიტეტის 3 მუდმივ წევრს ნიშნავს დამფუძნებელი (მათგან ორი მუდმივი წევრი უნდა წარმოადგენდეს საქართველოში საფრანგეთის საელჩოს, ხოლო მესამე მუდმივი წევრის წარდგენის უფლება აქვს ა(ა)იპ ,,საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ ქართუს”). მმართველი კომიტეტის დროებით წევრებს ამტკიცებენ კომიტეტის მუდმივი წევრები მშობელთა ასოციაციის მიერ წარდგენილი კანდიდატების რიგებიდან 1 (ერთი) წლის ვადით. სკოლის მმართველ კომიტეტს გარკვეული უფლება-მოსილებები დელეგირებული აქვს სკოლის დირექტორისათვის.<br><br>სკოლის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სტრუქტურული ერთეულების დებულებებით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით.<br><br>გარდა აღნიშნული დებულებებისა, ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგულ სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებული აქვს კერძო სამართლის იურიდიული პირის წესდება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას შემუშავებული აქვს შრომის შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს: სამუშაო და დასვენების დროს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობის პირობებს; შვებულების მიცემის წესს, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას და საბოლოო ანგარიშსწორებას, წახალისების ფორმებს, დისციპლინური წარმოების წესებს და სახეებს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს, განცხადების/საჩივრის განხილვას და სხვა.<br><br>სკოლას, ასევე, აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლეთა ქცევას, სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს, მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისების საკითხებს.<br><br>ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის შრომის შინაგანაწესი და სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.<br><br>გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა, დაწესებულებამ წარმოადგინა საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა წესი და დებულება, მათ შორის: მშობლების ასოციაციის დებულება, პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი, თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის წესდება და სხვ.<br><br>ამგვარად, სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი დოკუმენტაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. სკოლის მმართველი ინსტანციების დებულებები;<br>2. თანამდებობრივი ინსტრუქციები;<br>3. შრომის შინაგანაწესი;<br>4. სკოლის შინაგანაწესი;<br>5. საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა წესი და დებულება;<br>6. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის დაწესებულების საბჭო არის მთავარი ინსტანცია, რომელიც განიხილავს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. მათ შორის, განიხილავს და ამტკიცებს სკოლის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან გეგმას და ერთწლიან სამოქმედო გეგმას.<br><br>სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები.<br><br>სკოლაში შემუშავებულია 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია ორი მთავარი პრიორიტეტი: პედაგოგიური სფერო და საგანმანათლებლო სფერო (საგანმანათლებლო-სააღმზრდელო აქტივობები). ამ ორი მიმართულებით იდენტიფიცირებულია ამოცანები და მათი შესაბამისი აქტივობები როგორც დაწყებით საფეხურზე, ასევე, კოლეჯისა და ლიცეუმის დონეზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ა(ა)იპ კავკასიის ფრანგული სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>2. ა(ა)იპ კავკასიის ფრანგული სკოლის 2022-2023 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>3. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც, სკოლაში ელექტრონული ფორმით იწარმოება შემდეგი სახის აღრიცხვის ჟურნალები:<br><br>1. შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი (მათ შორის მიღებული ცნობების);<br>2. გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი (მათ შორის გაცემული ცნობების);<br>3. მოსწავლეთა ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>4. საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>5. თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი.<br><br>სკოლიდან გასული ყველა წერილი ფორმდება სატიტულო ფურცელზე, ქართულ ან/და ფრანგულ ენაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>2. დოკუმენტბრუნვის აღრიცხვის ჟურნალები;<br>3. ინტერვიუ ადმინისტრაციის ასისტენტთან;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | - |
| **რჩევები:** | - |
| **ხარვეზები:** | - |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგულ სკოლაში დასაქმებულია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის შესაბამისი პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალი.<br><br>ადმინისტრაციის თანამშრომლები: 1 სკოლის დირექტორი, 1 ადმინისტრაციული და ფინანსური დირექტორი, 2 დირექტორის მოადგილე, 1 დირექციის ასისტენტი, 1 ადმინისტრაციის ასისტენტი, 1 ფინანსური მენეჯერი, 1 ბუღალტერი, 1 ბუღალტრის ასისტენტი, 1 ექიმი, 1 პროფესიული ორიენტაციის მრჩეველი, 2 ბიბლიოთეკარი, 4 საგანმანათლებლო ასისტენტი, 1 ინფორმატიკოსი, 1 ფსიქოლოგი.<br><br>ტექნიკური და დამხმარე პერსონალი: 1 ტექნიკოსების უფროსი, 3 ტექნიკოსი, 5 დაცვა, 1 შეფ მზარეული, 3 მზარეული, 1 მზარეულის ასისტენტი, 1 ჭურჭლის მრეცხავი, 1 კურიერი, 1 მებაღე, 1 მთავარი დიასახლისი, 4 დიასახლისი.<br><br>პედაგოგიური პერსონალი: სულ 44 მასწავლებელი, მათ შორის 3 შეთანხმების ფარგლებში საფრანგეთიდან გამოგზავნილი მასწავლებელი, 25 საზღვარგარეთ გაცემული დიპლომის საფუძველზე დასაქმებული მასწავლებელი, 16 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი წესით შერჩეული მასწავლებელი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. თანამშრომელთა პირადი საქმეები;<br>2. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>3. დაწესებულების საშტატო განრიგი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქ. ჩაჩანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 4. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან E-school;<br>5. ინტერვიუ სკოლის პერსონალთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 44 |
| მოწვეული/მაძიებელი | 1 მოწვეული / 4 მაძიებელი |
| პრაქტიკოსი მასწავლებელი | - |
| უფროსი მასწავლებელი | 8 |
| წამყვანი მასწავლებელი | 1 |
| მენტორის სტატუსი | 1 |

**შენიშვნა: 1 მასწავლებელი პირობითი ხელშეკრულებით, 3 შეთანხმების ფარგლებში საფრანგეთიდან გამოგზავნილი მასწავლებელი, 25 საზღვარგარეთ გაცემული დიპლომის საფუძველზე დასაქმებული მასწავლებელი.**

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | 2017 წლის 31 აგვისტოს საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, სასწავლო პროცესი წარიმართება ფრანგული მხარის მიერ გამოგზავნილი მასწავლებლებისა და სკოლის მიერ შერჩეული მასწავლებლების მიერ. ამ ეტაპზე სკოლაში ასწავლის 44 მასწავლებელი. თითოეულ პედაგოგს უდასტურდება შესაბამისი საგნის სწავლებისა თუ დამატებითი სავალდებულო მომსახურების განხორციელების კვალიფიკაცია.<br>მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ საქართველოს მოქალაქეობა, შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად - სულ 16 პედაგოგი (8 უფროსი, 1 წამყვანი, 1 მენტორი, 4 მაძიებელი, 1 პირობის შემცველი ხელშეკრულებით დასაქმებული, 1 მოწვეული). |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულებაში დასაქმებულია საზღვარგარეთ გაცემული დიპლომის მქონე 28 პედაგოგი: აქედან 3 შეთანხმების ფარგლებში საფრანგეთიდან გამოგზავნილი მასწავლებელია. 24 უცხოენოვანი მასწავლებელი შერჩეულია ფრანგული საგანმანათლებლო პლატფორმის საშუალებით და შესარჩევი კომისიის გასაუბრების გზით. 1 პედაგოგი საქართველოს მოქალაქეა, რომელსაც აქვს საფრანგეთის უმაღლესი დაწესებულების დიპლომი ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით; მასთან გაფორმებულია უცხოენოვანი მასწავლებლების რანგის ხელშეკრულება. ვიზიტის განმავლობაში, პედაგოგთან გაფორმდა შეთანხმება, რის საფუძველზედაც, მასწავლებელი აცხადებს თანხმობას განსაზღვრულ ვადებში ჩააბაროს საგნის გამოცდა, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღებად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>2. ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგულ სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი, სადაც გაწერილია მასწავლებლის სამსახურში მიღების პროცედურა.<br><br>ფრანგულენოვანი პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, უცხოეთში მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება საზღვარგარეთ არსებულ ფრანგულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებისთვის არსებული სპეციალური დასაქმების ვებგვერდის (http://enseigner-etranger.com) მეშვეობით, სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც შედგება სკოლის დირექტორის, ადმინისტრაციული და ფინანსური დირექტორისა და საგანმანათლებლო კოორდინატორისაგან/დაწყებითი საფეხურის დირექტორისაგან. გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვევაში, კანდიდატი წარედგინება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მმართველ კომიტეტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად და ხელშეკრულების გასაფორმებლად.<br><br>ქართულენოვანი მასწავლებლის სამუშაოზე მიღება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად. კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, კანდიდატი წარედგინება მმართველ კომიტეტს ხელშეკრულების გასაფორმებლად. დაწესებულების შრომის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე, წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. შრომითი ხელშეკრულება კი თავის მხრივ არეგულირებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესებს.<br><br>სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები აზუსტებს თითოეული თანამდებობის პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რასაც ლოგიკურად ებმის შინაგანაწესში განსაზღვრული წახალისებისა და სანქციების სისტემა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შრომის შინაგანაწესი;<br>2. თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები;<br>3. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. **ხელშეკრულებით განისაზღვრება**: ფუნქციები, სამუშაო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურება და დაზღვევა; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, შვებულების მიცემის წესი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეთავსებით სამუშაო; მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტის წესი; ქონების, საქმიანი რეპუტაციის მოვლისა და გაფრთხილების ვალდებულება; ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. ყველა ხელშეკრულება დადასტურებულია ხელმოწერით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ა(ა)იპ კავკასიის ფრანგული სკოლის ადმინისტრაციის პირადი საქმეები;<br>2. ა(ა)იპ კავკასიის ფრანგული სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;<br>3. ა(ა)იპ კავკასიის ფრანგული სკოლის მასწავლებელთა პირადი საქმეები; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლას შემუშავებული აქვს "ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები". დოკუმენტში გაწერილია: ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები და ამოცანები; ადამიანური რესურსების განვითარება; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ორგანიზება; დასაქმებულთა პროფესიული განვითარება; საზღვარგარეთ ფრანგული სააგენტოს მიერ პროფესიული მომზადება-გადამზადების ორგანიზება; სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა და თანამშრომელთა შეფასება; მოტივაცია.<br><br>ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლა აქტიურად მონაწილეობს საზღვარგარეთ ფრანგულის სწავლების სააგენტოს ქსელის ცენტრალური და აღმოსავლური ევროპის ზონის ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებისთვის შეთავაზებულ უწყვეტი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამაში.<br><br>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები ყოველწლიურად მონაწილეობენ საზღვარგარეთ გამართულ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ტრენინგებში. გარდა ამისა, საზღვარგარეთ ფრანგული ენის სწავლების სააგენტო, სასწავლო წლის დასასრულს, ცდილობს დაადგინოს სკოლის თანამშრომლების საჭიროებები. ამ საჭიროებების გათვალისწინებით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, სააგენტო სკოლას უგზავნის ტრენინგების სიას. სკოლის თანამშრომლებს საშუალება აქვთ დარეგისტრირდნენ მათთვის სასურველ ტრენინგზე.<br><br>თითოეული მასწავლებლის მიერ შერჩეული ტრენინგის აუცილებლობისა და საჭიროების განხილვა ხდება უწყვეტი მომზადება-გადამზადების ჯგუფის კრებაზე. ტრენინგების გეგმას საბოლოოდ ამტკიცებს სკოლის დირექტორი.<br><br>სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 სასწავლო წლის ტრენინგების გეგმა, ტრენინგის სამიზნე აუდიტორიით, დასახელებითა და განხორციელების თარიღებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს, ასევე, ტრენინგ-მოდულის გეგმა ქართულის მასწავლებლებისთვის. ტრენინგის დასახელებაა "დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით". |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ა(ა)იპ კავკასიის ფრანგული სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები;<br>2. ა(ა)იპ კავკასიის ფრანგული სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები და პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ-კავკასიის ფრანგული სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტაციის მიხედვით, თანამშრომელთა პასუხისმგებლობები და მოვალეობები გადანაწილებულია, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი გარემოს შექმნას და სასკოლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას.<br><br>ვიზიტის პერიოდში სკოლაში ჩატარდა გასაუბრებები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან.<br><br>მასწავლებელთა განმარტებით სკოლა აქტიურად ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე და მხარს უჭერს მათ ინიციატივებს.<br><br>მშობელთა მოსაზრებით, სკოლაში არის დაცულობის ატმოსფერო, სკოლა ორიენტირებულია მაღალ ღირებულებებზე, მათი შვილები იღებენ მაღალი ხარისხის განათლებას.<br><br>მოსწავლეთა შეფასებით, სკოლა გამოირჩევა თბილი და პოზიტიური გარემოთი. ჰყავთ პროფესიონალი, მოსიყვარულე მასწავლებლები, რომლებიც მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით თითოეული მათგანის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან სიძნელეების გადალახვაში.<br><br>დირექტორმა და ადმინისტრაციის წევრებმა საუბრისას არა ერთხელ აღნიშნეს, რომ მასწავლებელთა და მოსწავლეთა კრეატიულობა ამშვენებს, ამრავალფეროვნებს და კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის სასწავლო პროცესს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ა(ა)იპ კავკასიის ფრანგული სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგები; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | - |
| **რჩევები:** | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ხარვეზები:** | - |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 27.04.2023

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 53



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქ. ჩარხნგალაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.